თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ვეფხვისმჭამელი ტურა

ერთხელ ტურა და მისი ცოლი საჭმლის საშოვნელად ტყეში დაწანწალებდნენ. ერთი გამოქვაბული იპოვეს. გადაწყვიტეს იქ დაედოთ ბინა. მაგრამ ამ მყუდრო გამოქვაბულის პატრონი ერთი ჯიქი იყო. ის მალე დაბრუნდა ნადირობიდან. დედალმა ტურამ ჯიქი რომ დაინახა, შეეშინდა. მამალმა წასჩურჩულა:

— ნუ გეშინია. მე ხმამაღლა დაგიძახებ, შენ კი ,,ვეფხვისმჭამელი" მიწოდე. გამოქვაბულში ბნელა და ჯიქი ვერაფერს მიხვდება.

ტურამ დაუძახა ცოლს და იმანაც მიუგო:

— მოვდივარ, ჩემო ვეფხვისმჭამელო, ახლავე მოვდივარ!

ჯიქმა ეს რომ გაიგონა, შეეშინდა და თავისი მეგობარი ჯიქებისკენ მოკურცხლა:

— უბედურება დამატყდა თავს! გამოქვაბულში ერთი საშინელი ვეფხვისმჭამელი მხეცი ჩამისახლდა. რაღა ვქნა?!

მათ სიცილი დააყარეს:

— რის ვეფხვისმჭამელი, რას ამბობ! ვინც გინდა იყოს, ჩვენ გავუსწორდებით. ხვალვე მოვალთ და ვნახავთ, ვინ გაბედა შენს ბუნაგში შესვლა.

მეორე დღეს დედალმა ტურამ დაინახა, რომ გამოქვაბულს რამდენიმე ჯიქი მიადგა. ძალიან შეეშინდა და მამალ ტურას მიეკრა.

— ნუ გეშინია! — ჩასჩურჩულა მამალმა ტურამ ყურში. — მე გკითხავ, ჩვენი შვილები რასა ჩხავიან-მეთქი. შენ ხმამაღლა მიპასუხე, ჯიქის ხორცი მოუნდათ-თქო.

LIVEWORKSHEETS

მართლაც, როცა ჯიქები ახლოს მივიდნენ, ტურამ ხმამაღლა იკითხა:

— ჩვენი შვილები რასა ჩხავიან?

— ვეფხვის ხორცი მობეზრდათ და ახლა ჯიქის ხორცი უნდათ, — მიუგო დედალმა ტურამ.

ჯიქებმა ეს რომ გაიგონეს, მოკურცხლეს. მოშორებით მოიყარეს თავი და თათბირს შეუდგნენ.

— ხომ გითხარით, ჩემს გამოქვაბულში ვეფხვისმჭამელი დასახლდა. შვილებს ვეფხვის ხორცსაც არ აკლებს-მეთქი, — თქვა გამოქვაბულის პატრონმა.

— შენ მართალი ყოფილხარ. ახლა რა ვიღონოთ, როგორ გამოვაგდოთ?! — შეწუხდნენ ჯიქები.

უცბად კურდღელი დაინახეს. თუ გვიშველის, კურდღლის მოხერხებულობა გვიშველისო, – გაუელვათ თავში.

— ეჰეი, კურდღელო, ჩემს გამოქვაბულში ვეფხვისმჭამელი დასახლდა. რას გვირჩევ, როგორ გამოვაგდოთ? — ჰკითხა გამოქვაბულის ბინადარმა ჯიქმა.

— ერთი მაჩვენეთ, ვინ არის და მე ვუჩვენებ სეირს! — დაიკვეხნა კურდღელმა.

ერთმა ჯიქმა კურდღელი ზურგზე შეისვა და გამოქვაბულისაკენ გაეშურა.

დედალმა ტურამ შორიდანვე დაინახა ჯიქზე შემჯდარი კურდღელი და ეს ამბავი ქმარს უთხრა.

— ეი, კურდღელო, — დაუყვირა ეშმაკმა ტურამ, — მე ოთხი ჯიქის მოყვანა გიბრძანე, შენ კი ერთი მოგყავს?!

ეს რომ ჯიქმა გაიგონა, თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა. კურდღელიც მისი ზურგიდან ძირს გადმოხტა და სხვა მხარეს მოუსვა.

კარგა მანძილი რომ გაირბინა, ჯიქი სულის მოსაბრუნებლად შეჩერდა. კურდღელს დაემუქრა:

LIVEWORKSHEETS

— ახლა კი მივხვდი, რატომაც მიმიყვანე! დამაცადე, ჩემი დროც მოვა და გაგისწორდები! სამაგიეროს გადაგიხდი!

მაგრამ კურდღელი აღარსად ჩანდა. გაქცეულიყო.

ასე მოატყუა გაიძვერა ტურამ ჯიქი. მას შემდეგ ტურები მშვიდად ცხოვრობდნენ ჯიქის გამოქვაბულში.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რისთვის დაწანწალებდნენ ტყეში ტურები?

ა) ბუნაგის მოსაწყობად.
ბ) საჭმლის საშოვნელად.
გ) ჯიქების დასაფრთხობად.

2. რატომ გადაწყვიტეს ტურებმა ჯიქის ბუნაგის დაკავება?

ა) ეგონათ, ჯიქმა გამოქვაბული მიატოვა.
ბ) იცოდნენ, ჯიქი გამოქვაბულს დათმობდა.
გ) მოეწონათ ჯიქის მყუდრო გამოქვაბული.

3. რა მიზნით სთხოვა ტურამ ცოლს, ვეფხვისმჭამელი დამიძახეო?

ა) გამოქვაბულის პატრონი რომ დაეფრთხო.
ბ) თავისი ცოლი რომ გაემხნევებინა.
გ) ჯიქთან თავი რომ მოეწონებინა.

4. რისი იმედით თქვა ტურამ ტყუილი?

ა) ჯიქი მარტო იყო, ამიტომ რჩევას ვერავის ჰკითხავდა.
ბ) ჯიქი ტყუილს ვერ შეამოწმებდა, რადგან გამოქვაბულში ბნელოდა.
გ) ჯიქი უგუნური იყო, ამიტომ ტყუილს ადვილად დაიჯერებდა.

LIVEWORKSHEETS

5. როგორ მოიქცა შეშინებული ჯიქი?

ა) დახმარებისთვის სხვა ჯიქებს მიმართა.
ბ) თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა.
გ) მომხდურებთან შებრძოლება გადაწყვიტა.

6. რატომ შეშინდნენ გამოქვაბულთან მისული სხვა ჯიქები?

ა) დარწმუნდნენ, რომ გამოქვაბულში მართლაც ვეფხვისმჭამელი მხეცები იყვნენ.
ბ) ეგონათ, რომ ვეფხვისმჭამელი მხეცები მათ გამოქვაბულებსაც დაიკავებდნენ.
გ) იფიქრეს, რომ ჯიქს ვეფხვისმჭამელ მხეცებთან მათი შეტყუება უნდოდა.

7. რა წარმოდგენა ჰქონდათ ჯიქებს კურდღელზე?

ა) ეგონათ, რომ მოხერხებული იყო.
ბ) იცოდნენ, რომ ტრაბახა იყო.
გ) სჯეროდათ, რომ უშიშარი იყო.

8.რას ნიშნავს სიტყვები: „მე ვუჩვენებ სეირს“?

ა) რჩევას მივცემ.
ბ) სამაგალითოდ დავსჯი.
გ) სიმართლეს გავარკვევ.

9. რაში დარწმუნა ჯიქი, როდესაც კურდღელთან ერთად მიუახლოვდა გამოქვაბულს?

ა) კურდღელი ვეფხვისმჭამელი მხეცის დავალებას ასრულებდა.
ბ) კურდღელი სხვა ჯიქების მსგავსად ძალიან მხდალი იყო.
გ) კურდღელი ჭკუითა და მოხერხებულობით გამოირჩეოდა.

LIVEWORKSHEETS

10. რა თვისებით ჰგვანან კურდღელი და ჯიქები ერთმანეთს?

ა) ბაქიბუქები არიან.

ბ) გამბედავები არიან.

გ) სამართლიანები არიან.

11. „ჯიქი სულის მოსაბრუნებლად შეჩერდა“, - ამბობს ავტორი. რას ნიშნავს გამოთქმა <u>სულის მობრუნება?</u>

ა) კარგად დაფიქრებას.

ბ) ღრმად ჩასუნთქვას.

გ) ცოტა ხნით შესვენებას.

12. რომელი ანდაზა შეეფერება ზღაპრის მთავარ სათქმელს?

ა) „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო“.

ბ) „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო.“

გ) „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

LIVEWORKSHEETS